პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 აპრილი სამშაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 90 (15607)

ხუთწლედი — ვადამდე!

ვინც თავი ისახელა რევოლუციონერად, ბრძოლითვე

ეთოგბით ტონა მაღალხარისხოვან ჩაის უშვებს ყოველდღიურად თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა. ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

სურათზე: თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის გადამწონ-გამფორმებელი საამქროს მემანქანე მ. ნადირაძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 105-110 პროცენტით ასრულებს.

ბ. ბასარაძის ფოტო.

პარტიის საბრძოლო მოწოდებები

ამჟამინდელი შრომითი ვახტის დაძაბული რიტმი, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ნათელი გაზაფხულის იერი სულ უფრო აშკარად გვაგრძნობინებს დიდი დღესასწაულის მოახლოებას. ორი კვირის შემდეგ ჩვენ აღვნიშნავთ 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს. და როგორც ყოველთვის, ამ ხასიხარულო დღესასწაულის წინ გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეზნებარე მოწოდებანი, რომლებიც მრავალმილიონ ხალხთა ადამიანს შთაგონებენ ახალ გმირობას დიდი მიზნის — კომუნიზმის მშენებლობისათვის.

1973 წლის პირველ მაისს ჩვენი ხალხი ეგებება მეცხრე ხუთწლედის მარშს. როცა ასრულებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყველა მომე მოკავშირე რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, მშრომელები ძალღონეს და ენერგიას არ იშურებენ, რათა დღითი დღე სულ უფრო მტკიცდებოდეს სიბეჭოთა ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება. ეს პატრიოტული მისწრაფება დღეს ხორცს ისხამს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა სახელოვან საქმეებში, სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური შაბათობისათვის მასობრივ მზადებაში. და თვითეულის გულში მგზნებარე გამოხმაურებას პოულობს პარტიის მოწოდება:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მჭიდროდ იბრძოლეთ სოციალისტური ეკონომიკის — საბჭოთა ძალის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის საფუძვლის — შემდგომი აღმავლობისათვის!

უფრო ფართოდ გაუშალეთ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის!

ჩვენს ეკონომიურ მშენებლობაში ყველაზე მნიშვნელოვანია, — ხაზგასმით აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობაზე, — მოვახდინოთ შეჩერება მეურნეობრიობის ინტენსიური მეთოდებისაკენ, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა. „ვამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!" — ასეთია დღეს შეჯიბრების საბრძოლო დევიზი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი შეიცავს მოკმედების კონკრეტულ პროგრამას მშრომელთა თვითეული რაზმისათვის. მრეწველობის მუშაკებმა უნდა ინრძოლონ ახალ სიმაღლეებზეთა უსწრაფესად ათვისებისათვის, უფრო ფართოდ გაუკვალონ გზა მოწინავე ტექნიკასა და პროგრესულ ტექნოლოგიას, გამოუშვან მეტი და კარგი ხარისხის სახალხო მოხმარების საქონელი. მშენებელთა წინაშე დასახულია ამოცანა დროულად გადასცენ საექსპლოატაციოდ ყველა ობიექტი, გააუმჯობესონ სამუშაოთა ხარისხი და შეამცირონ თვითღირებულება. ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი გზაა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, წარმოების ელექტრიფიკაციის. კომპლექსური შექანიზაციისა და ქიმიზაციის, მინების მელიორაციის ტემპის დაჩქარება. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უაირჩთიანად უნდა გამოიყენონ მთელი რესურსები და გაზარდონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსთვის მიყიდვა. ახლა, როცა გაჩაღდა სავაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, საჭიროა უზრუნველყოთ უწინარეს ყოვლისა მათი კარგი ხარისხი, მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალ მოსავალს. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურისა და კომუნალური მეურნეობის მშრომელთა ღირსების საქმეა აამაღლონ საბჭოთა ადამიანების მომსახურების კულტურა, უფრო სრულად და უკეთ დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებანი.

ხუთწლედის მესამე წლის მიჯნებს რომ მივაღწიოთ, უნდა აეამაღლოთ შრომითი კოლექტივების როლი თვითეული ადამიანის შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომ განვითარებაში. აქ პირველ პლანზეა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვა, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცება, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისა და გამრავლებისათვის ზრუნვა. ამასთანავე უნდა დავეუფლოთ ეკონომიურ ცოდნას, მეურნეობრიობისა და მართვის თანამედროვე მეთოდებს. უფრო აქტიურად დავნერგოთ წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. სათავეში ჩაუდგნენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლას, იყოს მასების უნარიანი ორგანიზატორები და აღმზრდელები — აი კომუნისტების მაღალი მოწოდება.

ჯულთბილი მოწოდების სიტყვები, რომლებითაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი მიმართავს პირველი მაისის წინ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგის მშრომელებს, ჩვენს სახელოვან მეომრებს ყველა თაობის წარმომადგენლებს, აღფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს. პარტიის მოწოდებათა პასუხად ისინი უფრო აქტიურად იბრძოლებენ ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების ბურჯის შემდგომი განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგული ჩვენი პარტია და ხალხი I მაისს — შრომის დიადი მსოფლიო არმიის დღესასწაულს ეგებებიან სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან, ხალხებთან. ყველა კონტინენტის კლასობრივ ძმებთან ერთიან მწყობრში. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ვნორ ვიეტნამელ ხალხს, რომელმაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვა იმპერიალისტური აგრესიის ძალებზე, სოლიდარობას უცხადებთ თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის — ყველა მებრძოლს, დაე მტკიცდებოდეს რევოლუციური ძალების — სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლების ძმური კავშირი!

თანამედროვე მსოფლიო განვითარებაზე სულ უფრო დიდ გავლენას ახდენენ სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებული მშვიდობის პროგრამის იდეები. ჩვენი პარტია, რომელიც ამ კეთილშობილური იდეების გამარჯვებისათვის იღვწის, მოუწოდებს ხალხებს კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძოლონ ახალი აღმოსავლეთში ომის საშიში კერის ლიკვიდაციისათვის, მტკიცე მშვიდობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის რაიონად ევროპის კონტინენტის გადაქცევისათვის, ხუთკონტინენტა და სრული განიარაღებისათვის. საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკა — ეს არის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის. მთელი ამ ძალების შეკავშირების პოლიტიკა, რომელიც იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ იბრძვიან.

საბჭოთა ადამიანები პირველი მაისის დღესასწაულს ეგებებიან მტკიცე რწმენით, რომ ახალ წარმატებებს მიაღწევს ჩვენი დიადი საქმე, და თავიანთ გრძნობებსა და ფიქრებს მოაპყრობენ ნაცად კვანძარდს — მშობლიურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. ურღვევია პარტიისა და ხალხის ერთიანობა, ნათელია შემდგომი კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივები, სწორია კურსი, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დაგვისახა.

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ПРАВДА

16 აპრილის მოწინავე.

ჟ ომუნისტებო! იუავით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში, მასების აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

- სოციალისტური შეჯიბრების 5.700 კვადრატული მეტრის ნაცვლად კვარცხლში საქმესდროულად გადასცეს 6.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.
- თელაველმა ფიქრებმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 126 ათასი მანეთის პროდუქცია.

აქ ყველა სამმართველო მოწინავეა

ლოტუმი. (საკ. კორ.). კარგი მაჩვენებლებით დაიწყეს მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 საერთო სამშენებლო ტრესტის მშენებლებმა.

ტრესტის კოლექტივმა წლის დასაწყისშივე გადიდებული ვალდებულებები იკისრა, და მათ შესასრულებლად ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. შედეგიც მიღწეულია. წარმატებით შესრულდა პირველი კვარტალის დავალება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.405 ათასი მანეთისა შესრულებულია 2.410 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო. ჩაბარებულია 6.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.700 კვადრატული მეტრისა.

პირველი კვარტალის დავალება ტრესტის ყველა სამშენებლო სამმართველომ შესრულა. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გამარჯვება მოიპოვა გასული წლის გარიჟამავალი დროშის მფლობელმა № 6 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა.

გაზქურები — მომხმარებელს

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). 100 ცალ გაზქურას გამოუშვებენ შაბათობის დღეს თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის წმრომელები. ამ დღეს 350 კაცი გამოვა სამუშაოდ, გამოშვებული იქნება 4,5 ათასი მანეთის პროდუქცია, გამომუშავებული ხელფასი 400 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

წელს კარგად შრომობენ მეაპარატეები. კვარტალის გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულეს, მომხმარებელს გაუგზავნეს 1.800 ცალი ზეგეგმითი გაზქურა, გეგმის გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებულია აერთვე სხვადასხვა სახის სახალხო მოხმარების საგნები — მმინანქრებული ჭურჭელი, კულტსაქონელი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დამკვრელური შრომის მაგალითი აჩვენეს საწყნეხი, მომმინანქრებელი და საიარაღო საამქროების მუშებმა გ. ჭელიძემ, ო. ნიშნიანიძემ, გ. დარსაველიძემ, ნ. ბოლაშვილმა, დ. ოქრუაშვილმა, ქ. ტუაევამ, გ. ღლონტმა, მ. მაზმიშვილმა, ზ. ანჯაფარიძემ, შ. კაპანაძემ, ნ. ეფელიანოვამ, დ. ლონგურაშვილმა. ბრიგადებს შორის დაწინაურდნენ საამწყობო საამქროს ნ. წერეთლისა და ვ. ნიშნიანიძის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები.

გეგმის გადამეტებით

თელავი. (საკ. კორ). ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ფაბრიკის ყველა საამქრო, ცალკა, ბრიგადა, რგოლი ერთმანეთს ეჯიბრება ნაცვლად ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

შეჯიბრების უნარიანად მოწყობამ და შრომის დისციპლინის ამაღლებამ თავისი დადებითი ნაყოფი გამოიღო — ამიერიდან ნახევარი გადაჭარბებით შესრულდა 104,7 პროცენტს უდრის.

აგროვალდებში, ცარისხიანად

ბოლნისი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად მიმდინარეობს ბოსტნეულის, კარტოფილის თესვა. თითვიანი მარცვლეული კულტურები დაითესა 300 ჰექტარზე მეტი, კარტოფილი — 600 ჰექტარამდე. მხვნელმთესველები ყოველდღე აძლიერებენ მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახის თესვის ტემპს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბალახები დაითესა 550 ჰექტარზე.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდიან სოფელ რატევნის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი მ. კეკრაკელია, მთავარი აგრონომი შ. კუპაევ, პარტიული კომიტეტის მდივანი ჯ. გასანოვი) მშრომელები. მექანიზატორების სიმეჯინთით წელს მეურნეობას 300 ჰექტარამდე ნასვენი მიწა შეეძლო. აქედან 200 ჰექტარზე დათესილი ჯეჯილის კარგი მოვლით რატევნელები ვარაუდობენ სულ მცირე 400 ტონამდე ხორბლის მარცვლის მიღებას.

თესვა კარგად მიმდინარეობს დაბა ბოლნისის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ნ. კოტახიძე, მთავარი აგრონომი რ. ბოხონელიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ა. გოშაძე). მხვნელმთესველები საგაზაფხულო კულტურების თესვის ყოველდღიურ დავალებას ერთიერად ასრულებენ. მეურნეობაში კარგი მოვლის შედეგად 960 ჰექტარზე ებმინებულია ჯეჯილი.

(„კომუნისტის" სპეც. კორ.).

ბათუმი

ბათუმის მექანიკურ ქარხანაში ინდუქციურუმელიანი ამაზანის აშენების იდეა დაებადათ. იგი განხორციელდა ჯუფური რაციონალიზატორული წინადადების საფუძველზე, რომლის ავტორები არიან ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები. ახალი წინადადება დაინერგა და მისმა ეკონომიურმა ეფექტმა ნოლოდინს გადაეჭარბა, გაუმჯობესდა შრომის კულტურა, მოთუთიების ხარისხი, შემცირდა ძვირფასი ლითონების ხარჯვა.

აქ აღმავლობით დაიწყეს ხუთწლედის მესამე წელი, პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის პირველი კვარტალის დავალება 22 მარტს გაანადღდეს.

ზესტაფონი

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს სამტრესტის ზესტაფონის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი, რომელმაც ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პირველი კვარტალის დავალება, გამოუშვა 8.046 ათასი მანეთის პროდუქცია.

ზესტაფონური მარკის ღვინოები ამშვენებს არა მარტო მომმე რესპუბლიკების, არამედ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა სუფრასაც.

მექსიკის პრეზიდენტის ვიზიტი სსრ კავშირში

16 აპრილს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-მექსიკის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო**, სსრ კავშირის ელჩი მექსიკაში **ნ. კ. ტარასოვი**;

მექსიკის მხრივ: მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ლუის ეჩევერია ალვარესი**, საგარეო საქმეთა მინისტრი **ემილიო ო. რაბასა**, მექსიკის ელჩი სსრ კავშირში **რ. გონსალეს სალაზარი**.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა სასარგებლო აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობის საკითხებზე და მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე, დადასტურდა მხარეთა მისწრაფება ორი ქვეყნის მეგობრობისა და ურთიერთგაგების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისადმი.

მიღწეულია შეთანხმება საბჭოთა კავშირ-მექსიკის ერთობლივი კომუნიკეს გამოქვეყნების თაობაზე. (საკდესი).

მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ლუის ეჩევერია ალვარესმა** 16 აპრილს საუზმე გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი**, ამხანაგები **გ. ი. ვოროგნოვი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, დ. ხ. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, ბ. ე. შელესტი, მ. ს. სოლომენცევი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

მექსიკის მხრივ საუზმეზე იყვნენ მოგზაურობაში პრეზიდენტის თანმხლები პირები, მექსიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **როკე გონსალეს სალახარი**.

საუზმის დროს ლუის ეჩევერია ალვარესმა და ა. ნ. კოსიგინმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს. (საკდესი).

ოფიციალური ვიზიტით

ბელგრადი. 16 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ ოთხი დღის ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ვ. ბრანდტი.

დემოკრატიული ძალების გამარჯვება

16 აპრილი. (საკდესი). ახალი გამარჯვება მოიპოვეს იაპონიის დემოკრატიულმა ძალებმა ქალაქების ოკეგავის (საიტამის პრეფექტურა) და სირაკავის (ფუკუსიმის პრეფექტურა) მერების არჩევნებში. ქალაქ ოკეგავის მერი გახდა სოციალისტური და კომუნისტური პარტიების საერთო კანდიდატი ტ. ოკადა.

ქალაქ სირაკავაში გაიმარჯვა ტ. იმაიმ, მას მხარს უჭერდნენ კომუნისტები და სოციალისტები, რომლებიც აქაც ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ.

რ. ნიქსონის მომავალი მოლაპარაკების

ვაშინგტონი. 16 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა გამოაცხადა, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე იგი აპირებს გაეშვაროს „ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში".

პრეზიდენტის ამ განცხადებასთან დაკავშირებით თეთრი სახლის პრესის საკითხთა წარმომადგენელმა თქვა, რომ რ. ნიქსონი, ალთათ, ეწვევა ინგლისს, იტალიას, საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. რ. ნიქსონმა გამოაცხადა აგრეთვე, რომ ევროპაში ვიზიტამდე იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვდება საფრანგეთის პრეზიდენტს ჟ. პომპიდუს.

ამერიკელი მიმომხილველნი ვარაუდობენ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელებთან რ. ნიქსონის მოლაპარაკების თემა იქნება, კერძოდ, ვალუტის საკითხები და ვაჭრობის პრობლემები, რომელთა გამო შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის არსებითი უთანხმოებები წარმოიშვა.

თურქეთის ახალი მთავრობა

ანკარა. 16 აპრილი. (საკდესი). თურქეთში შეიქმნა ქვეყნის ახალი მთავრობა, რომელსაც სენატორი ნაიმ თალუ მეთაურობს.

მთავრობის შემადგენლობა კოალიციურია და 24 წევრისაგან შედგება. 13 მინისტრი — სამართლიანობის პარტიის (ქვეყნის უდიდესი პოლიტიკური პარტიის) წარმომადგენელია, 6—ხალის რესპუბლიკური პარტიის, 3 დამოუკიდებელი და ორი კი ეროვნულ პარლამენტის წევრი არ არის.

პრემიერ-მინისტრის მოადგილეებად დანიშნული არიან ნიზამეტინ ერგენი და ქემალ სათირი, ეროვნული თავდაცვის მინისტრად — ილჰამი სანჯარი, შინაგან საქმეთა მინისტრად — მუკადერ ოზთეკინი, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შეინარჩუნა ჰალიუკ ბაიულკენმა.

მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იქნება თურქეთში მოაწყოს პარლამენტის არჩევნები მიმდინარე წლის ოქტომბერში.

მთავრობის სხდომა

ანკარა. 16 აპრილი. (საკდესი). თურქეთის ახალი მთავრობა, რომელსაც ნაიმ თალუ მეთაურობს, დღეს დილით შეიკრიბა თავის პირველ სხდომაზე მთავრობის პროგრამის შესამუშავებლად.

ეს პროგრამა კონსტიტუციის შესაბამისად მთავრობის შედგენის მომენტიდან ერთი კვირის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბდეს პარლამენტში პრემიერ-მინისტრმა ან მთავრობის სხვა წარმომადგენელმა. ამის შემდეგ ორ დღეში პარლამენტში უნდა გაიმართოს კამათი მთავრობის პროგრამის გამო. შემდეგ — ნენჩისყრა კაბინეტისადმი ნდობის საკითხზე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა დედაქალაქში საბინაო მშენებლობის ჩამორჩენისა და საცხოვრებელი ბინების აღრიცხვა-განაწილებაში დაშვებული შეცდომებისა და დარღვევების საკითხი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის საბინანტროს, სამშენებლო-სამონტაჟო საწარმოო გაერთიანება „მთაგორთმიშენის", თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები, სამშენებლო ტრესტების პარტიული კომიტეტების მდივნები, პრესის წარმომადგენლები.

თათბირზე აღინიშნა, რომ, როგორც ზრდის ტემპით, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით, საბინაო მშენებლობა ჯერ კიდევ ჩამორჩება დროს, პარტიის XXIV ყრილობასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პლენუმის მიერ დასახულ ამოცანათა მოთხოვნებს. უკვე რამდენიმე წელია თბილისში სისტემატურად ირღვევა მშენებლობის გეგმების შესრულება, რაც აფერხებს ბინებით მოსახლეობის უზრუნველყოფას. განსაკუთრებით სერიოზული შეცდომებია დაშვებული საბინაო ფართობის აღრიცხვისა და განაწილების საქმეში.

შექმნილი მდგომარეობის მიზეზების გამოვლინებისა და მათი დაძლევის, ამ მიმართულებით სათანადო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით თბილისის საქალაქო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ივნისის მეორე ნახევარში მოიწვიოს მორიგი, მე-15 პლენუმი.

პლენუმისათვის მზადების პერიოდში რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მოვალეობაა საქმიანად და ღრმად გააანალიზონ საბინაო მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი და ჩამორჩენის მიზეზები, ქმედითი და გადამწყვეტი ღონისძიებანი დასახონ მათ გამოსასწორებლად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამშენებლო ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და განვითარებას, შრომის მოწინავე და ეფექტიანი მეთოდების ფართო დანერგვასა და სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, მშენებლობის მართვის სტილის სრულყოფას, სამშენებლო წარმოებაში დასაქმებული თვითეული მუშაკისათვის შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას და სხვ.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, დასმენების დღე — შაბათი, 28 აპრილი შადატანილია ორშაბათს, 1973 წლის 30 აპრილს.

ახლახან გამოიცა

გაერთიანებული საზეიმო სხდომის მასალები

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სტენოგრამიული ანგარიში 1972 წლის 21-22 დეკემბრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის შესახებ.

წიგნში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის შესახებ", საზეიმო სხდომის მონაწილეთა და ოცნებელ სტუმართა გამოსვლები, სხდომაზე მიღებული მიმართვა „მსოფლიოს ხალხებს". (საკდესი).

უკანასკნელი ამბები

ბუნება და ადამიანი

მწვანე ზონა — სიჯანსაღის ფაქტორი

საყოველთაოდ არის ცნობილი ტყის, როგორც სუფთა ჰაერის ბუნებრივი აუზის, წყლის ბალანსისა და კლიმატის რეგულატორის უდიდესი მნიშვნელობა. ტუე. ბუნება ადამიანთა ლეგალურად ასდენს ადამიანზე. ხელს უწყობს ადამიანთა შემოქმედებითს განწყობილებას, წარმოშობს დადებითს ემოციებს, უნერგავს მათ პუმანიზმს, მშობლიური მხარის სიყვარულს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების. გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია.

დღეს ვბეჭდავთ მასალებს იმის შესახებ, რაც უკვე განხორციელდა ამ დადგენილების პრაქტიკულად შესრულებისათვის, აგრეთვე იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში.

მოგრძანდით, დაისვენეთ...

საკაჟეო მეურნეობის მუშაკების წინაშე ამჟამად რთული და სერიოზული ამოცანები დგას. პრაქტიკული საქმეებით უნდა განვმტკიცოთ თბილის-რუსთავის მწვანე ზონისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები.

თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში შედის ბოლნისის რაიონის საკაჟეო მეურნეობაც, რომელიც 41.000 ჰექტარზეა გადაშენილი. ჩვენი ტყეები, თუ მათ გონივრულად გამოვიყენებთ, მშრომელთა დასვენების საუკეთესო კერებს წარმოადგენენ.

რით დავიწყეთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პრაქტიკულად განხორციელება? როგორ შევუდექით ჩვენი ფაუნისა და ფლორის გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების გაუმჯობესებისათვის ზრუნვას?

უპირველეს ყოვლისა შევიმუშავეთ პერსპექტიული გეგმა, რომლის თანახმად ხუთიწლიანი ხელშეკრულებები დავდეთ რესტავრაციის საწარმოთა ხელმძღვანელებთან. შეგურჩიეთ მათ დასვენებისათვის საუკეთესო ადგილები. ესენია ფოლადაურის, სარკინეთის, სამტრედეს, ციხისძირის, ღრმა წყაროს, სამწერისის და სხვა ხეობები.

თანახმად ხელშეკრულებებისა მოიჯარე ორგანიზაციები მოვალენი არიან გამოიყენონ ეს ადგილები პირდაპირი დანიშნულების მიხედვით. ყოველგვარი მშენებლობა და აღჭურვა აწარმოონ დამტკიცებული პროექტებით, ბასუხისმგებლობა იკისრონ დასასვენებლად მიცემული უბნების მოვლა-პატრონობაზე, სისტემატურად აწარმოონ ჯიტყვების სამუშაოები, მიიღონ ზომები სიმაჩხრის ხალიკვიდაციოდ, განახორციელონ ტყის დაცვის აგროწესები, შექმნან სპეციალური ბრიგადები ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების შესასრულებლად.

ჩვენი მხრივ კი მეტყევეები გკისრულობთ: მოიჯარე ორგანიზაციას გამოვუყოთ და მივამაგროთ განსაზღვრული ოდენობის ფართობი. გამოყოფილ უბნებზე შევარჩიოთ ტყის გასაშენებელი ნაკვეთები და უზრუნველვყოთ მოიჯარენი საჭირო ნერგებით, სხვა მასალებით; ტყის აღდგენის, ტყის დაცვისა და სხვა ღონისძიებების მაღალი კვალიფიკაციის დონეზე მოწყობისათვის გავუწიოთ სათანადო კონსულტაციები, ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა.

ვიდრე რუსთაველი მეტალურგები. მეცემენტეები, მშენებლები კოლექტიურ შაბათობას მოაწყობდნენ, ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან გვქონდა საქმიანი შეხვედრები. მათთვის მოვამზადეთ ნერგები, მოვახდინეთ ფართობის მარკირება. 20 ჰექტარზე მოვაწყეთ სანერგე მეურნეობა, ხოლო ამდენივე ფართობზე — მაღალტანიანი ნერგების გამოყვანა.

ტყის მცველებმა აიღეს ვალდებულება შექმნან თავიანთი შრომითი უბნები 100-150 კვადრატული მეტრი ფართობისა. სადაც დათესენ და გამოიყვანენ 10.000-მდე ძირ ნერგს. ერთი სიტყვით, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა რაციონალურად იქნას გამოყენებული ფაუნა და ფლორა, სანიმუშოდ მოეწყოს მშრომელთა კულტურული დასვენება.

ზ. ფხაკაძე,
ბოლნისის მექანიზებული საკაჟეო მეურნეობის დირექტორი.

დიდი, სასარგებლო საქმე

კარგია, რომ ჩვენ დასასვენებლად და მოსავლელად გამოგვიყვეს ადგილი ფოლადაურის ხეობაში. ამ ადგილს სახელწოდება სამბოლურად არის დარქმეული. ეს ადგილი ჩვენთან, რუსთაველ მეფოლადეებთან, მებრძოლებთან. სწორედ ფოლადაურში ადნობდნენ ჩვენი წინაპრები ფოლადს. აქ ნომ ამისათვის უბადლო პირობები იყო: მადანიც მოიპოვებოდა და სათბობიც — ძირითადად აქაური მცენარეების ნახშირის ბაზაზე.

გამაჯანსაღებელი ბაზის შექმნა, რაც ჩვენ ფოლადაურისა და თამარის ხეობებში გადავწყვიტეთ, დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი მშრომელების დასვენებას, ისედაც ლამაზი და თვალწარმტაცი ბუნების გამშვენიერებას.

ჩვენ, რუსთაველი მეტალურგები, საჭეეულოდ ვაცხადებთ: თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოებისა და გარემოს გაჯანსაღების საქმეში შევიტანთ გარკვეულ წვლილს, სანიმუშოდ მოვუვლელთ ჩვენთვის გამოყოფილ უბანს, გადავაქცევთ მას მშრომელთა დასვენებისა და გაჯანსაღების მძლავრ კერად, წალკოტად.

გ. ბერეკაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე.

სურათზე: შაბათობა ფოლადაურის ტყეში.

ლაშქრობა ფოლადაურის ხეობაში

- 300-ზე მეტი რუსთაველი მშრომელი — ფოლადაურის ტყეში მოწყობილ შაბათობაზე.
- დაირგო 1.000-ზე მეტი მაღალხარისხიანი მცენარე.
- აქ გაშენდება კემპინგები, საგაზაფხულო ბანაკები, ფარდულები, სპორტული მოედნები, პლაჟი, საგაზაფხულო კინოთეატრი...

ტყეში ... ოჯილისა და ... ფოთავენ!

დაეიმრიალონ ტყეებმა...

319.638 ჰექტარი ტყე! — ასეთი იქნება თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის ფართობი მომდევნო 15-20 წლისათვის. უფრო უკეთესი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ ზონის შესახებ, აღვნიშნავთ, რომ მასში თავმოყრილია გარდაბნის, დუშეთის, მცხეთის, კასპის, თიანეთის, ბოლნისის, საგარეჯოს, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონების როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ტყეები.

რაგამ დაისვა თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის შექმნის და გაფართოების პრობლემა? ამ კითხვაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ტუხარელმ თქვა:

— მოგეხსენებათ, თბილისსა და რუსთავში დღითიდღე იზრდება წარმოება, შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები. ამასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დგება სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და ბუნების წიაღში მშრომელთა დასვენების გაუმჯობესების საკითხი. დასამალი არ არის, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. არსებული ტყეები ვერ აკმაყოფილებს ქალაქების მცხოვრებთა გაზრდილ მოთხოვნილებას, დაწესებულ ნორმატივებს. ლაშქრობა თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის შექმნის შესახებ სწორედ ამ ნაკლოვანებათა დაძლევას, ჩვენს ქვეყანაში ფაუნისა და ფლორის საზრისიანად გამოყენებას ემსახურება.

საკაჟეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში გვითხრეს აგრეთვე, რომ გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები, დაიწყო მასობრივი ლაშქრობა ტყეთა მოვლა-პატრონობისა და ადამიანთა კეთილდღეობის სამსახურში მის ჩასაყენებლად.

...14 მარტი. შაბათი. დილიდანვე არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო ფოლადაურისა და თამარის ხეობებში. აქ დასასვენებლად მიჩნეული ადგილების დასათვალიერებლად და ტყის გასაშენებლად ჩამოვიდნენ რუსთავის მეტალურგიული, ცემენტისა და საშენ მასალათა ქარხნების მუშა-მოსამსახურეები. 300-ზე მეტმა რუსთაველმა დაარტყა ბარი, რათა დაერგოთ მცენარეები და ამით დაეწყოთ თავიანთი ლაშქრობა მწვანე ზონისათვის.

ფერდობზე, ფიქვნარის გვერდით, რომლის ქვემოთ იკვლევს გზას მდინარე ფოლადაური, რუსთაველმა მშრომელებმა 1.000-ზე მეტი მცენარე დარგეს. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშა-მოსამსახურეებმა. წარმოების ხელმძღვანელებმა: შ. შანყულაშვილმა, თ. გელაძემ, უ. რეხვიაშვილმა, დ. ბარათაშვილმა, ი. შანიძემ, ბ. კიკნაძემ, კ. ბეჭაურმა, ჯ. ღუდუშაურმა. შ. დაუშვილმა. მ. ასლანიშვილმა, მ. ბაკურაძემ, ა. რეხვიაშვილმა. თ. შუბლაძემ, გ. კიკნაველიძემ, გ. ბაიგაძემ, რ. ბერიშვილმა, თ. ცუნიშვილმა და სხვებმა. რაც აქ ყველაფერი წალკოტად იქცევა და დასვენების კერა ამოქმედდება, ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები შვლენ დიდი სახალხო საქმისადმი მოწყობილი ლაშქრობის ისტორიაში.

მოსწონთ რუსთაველებს მათთვის გამოყოფილი ადგილები:

— აქ კემპინგს ავაშენებთ, აქ კი — საზაფხულო ბანაკებს, — ამბობს მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი კ. ბაქრაძე. იგი შაბათობაზე მოსულ მეტალურგებს აგრეთვე უხსნის, რომ მდინარეს გაუკეთებენ კაპალს, ასწევენ წყლის დონეს და გააშენებენ პლაჟს. შერჩეულია ადგილები სპორტული მოედნებისათვის, საზაფხულო კინოთეატრისათვის, მანქანების სადგომებისათვის. ანალოგიური გეგმები გააცნეს თავიანთი კოლექტივების წარმომადგენლებს ცემენტის ქარხნის დირექტორმა გ. ცხაკაიამ, პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. რევიამ და საშენ მასალათა კომბინატის დირექტორმა ჯ. თაბაგარმა.

გენერალურმა დამპროექტებელმა, სატყეო მეურნეობის ბაკავშირთ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალის დირექტორმა ტ. ჩიკოვანმა, რომელიც რუსთაველ მშრომელებს შაბათობაზე ეწვია, აღუთქვა მათ, რომ ფილიალის მუშაკები დროულად დაამთავრებენ საპროექტო სამუშაოებს.

დღეისათვის კი ყველაზე მთავარ ხაზრუნავს მაინც დასასვენებელი ადგილებში გზების მიყვანა, წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდება წარმოადგენს. ამის ირგვლივ რუსთაველ მშრომელებს საერთო მოსაზრებანი და გეგმები გააცნეს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გიგაურმა.

ზ. მერკვილაძე,
გ. გოგოხია,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.



სოციალიზმის პრაქტიკული მცნება

განაწილების აღრიცხვა და კონტროლი სოციალიზმის დროს

თეორიის საკითხები

ჯერ ადრე, სოციალიზმის დროს მწარმოებლები განაწილების კონტროლისა და სახელმწიფოს მმართველობის ხუთა ორგანოებში მონაწილეობით თვითონ არიან წარმოებული პროდუქტების განმანაწილებელნი. ამიტომაც განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის ორგანოებში მათი მასობრივი მონაწილეობა, ამ ორგანიზაციათა უნივერსალიზაცია მათი ქმედითობის გადამწყვეტი ფაქტორია და საბჭოთა დემოკრატიის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს.

მილიონობით ადამიანთა არსებობისათვის საჭირო პროდუქტების გეგმაშეწონილი წარმოებისა და განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის ყოველის მომცველი ქსელი უნდა ემყარებოდეს თვით დაინტერესებული ფართო მშრომელი მასების ორგანიზაციულ თვითმოქმედებას. მოხმარების საგნების განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის მასობრივობა, უნივერსალიზაცია, სახელმწიფო კონტროლის საზოგადოებრივ ინსპექციასთან შეხამება ცენტრში და ადგილებზე განაპირობებს იმას, რომ ვიდრე ერთი ადამიანი ვერ შეძლებს წმიდათა წმიდა სოციალისტური საკუთრების ხელყოფას, მისი პირადი მიზნებისათვის გამოყენებას.

მხოლოდ ფართო მასშტაბით ორგანიზებულ პროდუქტების განაწილების ქმედით აღრიცხვასა და კონტროლს შესწევს უნარი ამოიკვეთოს სოციალისტური საზოგადოების ჯანსაღ ორგანიზმზე წარმოქმნილი ხორცმეტი, რომელიც უმრომლად შემოსაელის მიღების შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ეს კადაგადარეული უჯრედი განაპირობებს ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ამორალური მოვლენების არსებობას. მომხვეჭელთა ხელში დიდძალი თანხის დაგროვება და მისი არასაზოგადოებრივი, პირადი ინტერესებისათვის ფლანგვა დიდ ზიანს აყენებს სოციალისტურ ეკონომიკას, ხარნის სახელმწიფო აპარატის ზოგიერთ უმრინციპო მუშაკს.

სხვადასხვა მაქინაციებით მიტაცებული თანხები სასჯელის თავიდან აცილების უმრავლეს შემთხვევაში მათივე მფლობელების საზიანოდ მოქმედებს, რამდენადაც ფუფუნების საგნების შეძენას, უზომოდ დროს ტარებას და პარაზიტულ ცხოვრებას ხმარდება, რაც პიროვნების ფიზიკურ და ზნეობრივ დეგრადაციას იწვევს. პიროვნება მისთვის უკვე და არასაჭირო საგნების შონა ხდება. საზოგადოების ეს პარაზიტები სოციალიზმის ყველაზე სანაში და ბორტი მტრები არიან.

თვითეულმა პატიოსანმა მშრომელმა, მონაწილეობს თუ არა იგი განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის ორგანოებში, ყველგან არ უნდა აუაროს მტაცებლობის, ფაშვლეჯობის და სხვისი შრომით ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებებს და აქტიურად იმოქმედოს მათი ლიკვიდაციისათვის. კომუნისტური პრინციპულობა, სოციალიზმისათვის მტრული ელემენტებისადმი შეურიგებლობა საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ აღმოვფხვრათ ის ანტისაზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც ჯერ კიდევ ბოგინობენ.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია მისი ქმედითი პრაქტიკული ხასიათი. პროდუქტების განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის მეთოდებისა და ხერხების ღონმა ცოდნა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, თუ იგი პრაქტიკულად არ განხორციელდება. ლენინი დასძენდა იმ ინტელიგენტებს, რომლებიც ხანარცხვინო „უხერხულობასა" და უუნარობას იჩენდნენ განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის გატარების საქმეში და მხოლოდ კარგ რჩევა-დარიგებას სჯერდებოდნენ. სოციალისტური საზოგადოების ხორცმეტების: მუქთახორების, ფაშვლეჯების და ხულიგნებს პრაქტიკული, რეალური ალაგმვის, მათი მეთვალყურეობის ქვეშ დაყენების ყოველი ნაბიჯი ზას გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ვიდრე მრავალი შესანიშნავი მსჯელობა სოციალიზმის შესახებ.

პროდუქტების განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის საქმე, — გვასწავლიდა ლენინი, — ისე უნდა მოეწყოს, რომ ვერც ერთმა მდიდარმა, რომელიც არღვევს სოციალიზმის წესებსა და კანონებს, ვერ აიცილოს თავიდან ნაკანონებს, ვერ აიცილოს თავიდან სამართლიანად მდიდრის ხვიდრი უნდა გახდეს. „ვინც არ მუშაობს, ის არც უნდა ჭამდეს. ეს ხუთიათასი პრაქტიკული მცნებაა".

ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის ლენინი მოითხოვდა მუქთახორებისა და ფაშვლეჯების მიმართ განაწილების პრაქტიკული აღრიცხვისა და კონტროლის, როგორც უმაღლესი ფორმის დონის ამაღლებას, რომელიც ხორციელდება წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში. პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დიდი საზოგადოებრივი ძალაა სახალხო კონტროლი, რომელიც მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს.

ხალხის ფართო მასები განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის სახელმწიფო და სახალხო ორგანოებში აქტიური მონაწილეობით კიდევ უფრო განამტკიცებენ სოციალიზმის პოლიტიკურ-ეკონომიურ მონაპოვრებს და იძენენ კომუნისტური საზოგადოების წევრებისათვის დამახასიათებელ ჩვევებს. და მხოლოდ მაშინ, როცა ყველანი დაეუფლებიან წარმოების მართვის საქმეს, დამოუკიდებლად განახორციელებენ საყოველთაო-სახალხო აღრიცხვასა და კონტროლს, და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის აუცილებლობა ჩვეულებად იქცევა, ფართოდ გაიღება კარი კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზიდან მის უმაღლეს ფაზაზე გადასასვლელად.

დოცენტი
გ. რუსია,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მომსახურება — ყურადღების ცენტრში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის გამსვლელი სხდომა ცხინვალში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის გამსვლელი სხდომა გაიმართა ცხინვალში. კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეები და საყოფაცხოვრებო მომსახურების საამმართველოების უფროსები, საოლქო საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ბოლო წლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გარკვეული მუშაობაა გაწეული. დაინერგა მომსახურების ახალი ფორმები: თეთრეულის რეცხვა, ტანსაცმლის ქიმწმენდა, ბინაზე მომსახურება, კერამიკულ ნაკეთობათა წარმოება და სხვა. წინა წლებთან შედარებით გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების დონე.

გასული წლის საწარმოო-საფინანსო გეგმები გადაჭარბებით შესრულეს ქალაქ ცხინვალის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებმა.

ამასთან ერთად მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ქალაქების მცხოვრებთა გაზრდილ მოთხოვნილებას, დაწესებულ ნორმატივებს. ლაშქრობა თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის შექმნის შესახებ სწორედ ამ ნაკლოვანებათა დაძლევას, ჩვენს ქვეყანაში ფაუნისა და ფლორის საზრისიანად გამოყენებას ემსახურება.

საკაჟეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში გვითხრეს აგრეთვე, რომ გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები, დაიწყო მასობრივი ლაშქრობა ტყეთა მოვლა-პატრონობისა და ადამიანთა კეთილდღეობის სამსახურში მის ჩასაყენებლად.

...14 მარტი. შაბათი. დილიდანვე არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო ფოლადაურისა და თამარის ხეობებში. აქ დასასვენებლად მიჩნეული ადგილების დასათვალიერებლად და ტყის გასაშენებლად ჩამოვიდნენ რუსთავის მეტალურგიული, ცემენტისა და საშენ მასალათა ქარხნების მუშა-მოსამსახურეები. 300-ზე მეტმა რუსთაველმა დაარტყა ბარი, რათა დაერგოთ მცენარეები და ამით დაეწყოთ თავიანთი ლაშქრობა მწვანე ზონისათვის.

ფერდობზე, ფიქვნარის გვერდით, რომლის ქვემოთ იკვლევს გზას მდინარე ფოლადაური, რუსთაველმა მშრომელებმა 1.000-ზე მეტი მცენარე დარგეს. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშა-მოსამსახურეებმა. წარმოების ხელმძღვანელებმა: შ. შანყულაშვილმა, თ. გელაძემ, უ. რეხვიაშვილმა, დ. ბარათაშვილმა, ი. შანიძემ, ბ. კიკნაძემ, კ. ბეჭაურმა, ჯ. ღუდუშაურმა. შ. დაუშვილმა. მ. ასლანიშვილმა, მ. ბაკურაძემ, ა. რეხვიაშვილმა. თ. შუბლაძემ, გ. კიკნაველიძემ, გ. ბაიგაძემ, რ. ბერიშვილმა, თ. ცუნიშვილმა და სხვებმა. რაც აქ ყველაფერი წალკოტად იქცევა და დასვენების კერა ამოქმედდება, ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები შვლენ დიდი სახალხო საქმისადმი მოწყობილი ლაშქრობის ისტორიაში.

მოსწონთ რუსთაველებს მათთვის გამოყოფილი ადგილები:

— აქ კემპინგს ავაშენებთ, აქ კი — საზაფხულო ბანაკებს, — ამბობს მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი კ. ბაქრაძე. იგი შაბათობაზე მოსულ მეტალურგებს აგრეთვე უხსნის, რომ მდინარეს გაუკეთებენ კაპალს, ასწევენ წყლის დონეს და გააშენებენ პლაჟს. შერჩეულია ადგილები სპორტული მოედნებისათვის, საზაფხულო კინოთეატრისათვის, მანქანების სადგომებისათვის. ანალოგიური გეგმები გააცნეს თავიანთი კოლექტივების წარმომადგენლებს ცემენტის ქარხნის დირექტორმა გ. ცხაკაიამ, პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. რევიამ და საშენ მასალათა კომბინატის დირექტორმა ჯ. თაბაგარმა.

გენერალურმა დამპროექტებელმა, სატყეო მეურნეობის ბაკავშირთ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალის დირექტორმა ტ. ჩიკოვანმა, რომელიც რუსთაველ მშრომელებს შაბათობაზე ეწვია, აღუთქვა მათ, რომ ფილიალის მუშაკები დროულად დაამთავრებენ საპროექტო სამუშაოებს.

დღეისათვის კი ყველაზე მთავარ ხაზრუნავს მაინც დასასვენებელ ადგილებში გზების მიყვანა, წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდება წარმოადგენს. ამის ირგვლივ რუსთაველ მშრომელებს საერთო მოსაზრებანი და გეგმები გააცნეს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გიგაურმა.

ზ. მერკვილაძე,
გ. გოგოხია,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

... ...

319.638 ... — ... ...

მსოფლიო დღეს

ეროვნული მიზნებისთვის

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ — ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲒᲚᲝᲒᲐᲜᲘ

15 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲨᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲘᲜᲓᲝᲡ ᲐᲛᲬᲔᲠᲓᲐ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ Ლ. ᲔᲩᲕᲔᲠᲘᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲡᲘᲠ ᲙᲐᲛᲕᲘᲠᲨᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲠᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲜᲐᲪᲮᲝᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲨᲘᲪ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲖᲗᲨᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘᲐ ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ, ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ, ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ, ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ, ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞ

წერილი რედაქციას

ეს საუკეთესო საქმეა

სამი წლის წინათ, დიდ სამამულო ომში დაოკებულ ძალმართა ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის „ვასილ პარკი „გამარჯვების პარკის“ სახელწოდება მიენიჭა.

მაგრამ დასანანია, რომ საქმე მხოლოდ ამით დამთავრდა და დღემდე არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმული იმისათვის, რომ პარკმა ეს ახალი სახელწოდება გაამართლოს. ალბათ ამიტომ ებრალო წარწერაც არ არის პარკის მთავარ შესასვლელთან, რომ ვასილ პარკს „გამარჯვების პარკი“ ეწოდება.

ომის ვეტერანებმა პრინციპულად დააყენეს პარკის ეთილმოწყობის საკითხი. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაეკისრა ღონისძიებული საკითხის სათანადო შესწავლა. სამწუხაროდ, ამ კომისიამ მონდომებით და სიფუთლეებლად ვერ შეისწავლა ამ პატრიოტულ ღონისძიებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, ანგარიში ვერ გაწერა. პრესაში გამოთქმულ სამართლიან კრიტიკულ შენიშვნებს და საზოგადოებრივ აზრს ომის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „გამარჯვების პარკი“ თავისი ფორმითა და შინაარსით.

ომის ვეტერანები განსაკუთრებულს და ზედმეტს არაფერს მოითხოვდნენ ამასთან შედარებით, რაც გაკეთებულია შინმოუსვლელთა უკიდურესყოფად ჩვენი ქალაქის სხვა ქალაქებში. აღნიშნავდნენ, რომ „გამარჯვების პარკი თავისი მდებარეობით, შესანიშნავი რელიეფით დასვენების კარგ პირობებს უქმნის შრომელ ადამიანებს. აქ არის სუფთა ჰაერი, კულტურულად დასვენებისა და გართობისათვის საჭირო პირობები. მაგრამ, ჯერ კიდევ ვერ არის შესაფერისად ეთილმოწყობილი: ნაკლებად ყურადღება ექცევა პარკისა და კეს ტბის ფერდობზე არსებული ნარგავების მოვლა-პატრონობას, მოუვლელი და ამოსადგენია პარკის ბლატზე არსებული შადრევანი, ბალახგადაღლილია და ეფარავს მკვნარ ეფერებით არის დაფარული.

ვერც წყნეთის სატყეო შეურნეობის მუშაკები დაიჩემებენ პარკის მოსაზღვრე მათს ტერიტორიაზე გაშენებული ნარგავების კარგ მოვლა-პატრონობას. ვერც თბილისის ტყრმაზის თანამშრომლები იჩენენ კეთილ მზრუნველობას ნარგავების მოვლა-პატრონობისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დამყარების საქმეში. აღსანიშნავია ისიც, რომ მოუპირკეთებელია პარკიდან ეს ტბის ფერდობზე მიმავალი საკალეფეტო გზა, მის გასწვრივ არ არის განათება, სასმელი წყლის შადრევანი.

ჩვენი მოსაზრებანი თუ როგორი უნდა იყოს „გამარჯვების პარკი“

ბი. სკამები, არ ისხვლება და მოუვლელია მწვანე ნარგაობა.

ომის გამო, რომ არ არის წყალამრიდი არხები, ფერდობიდან წამოსული ნიაღვარი ხრამავს და ანგრევს პარკის ქვინტალურ ნაწილის სეკერებს.

ვფიქრობთ მიზანშეწონილია პარკის ცენტრში რესტორან „ბუდაპეშტის“ არსებობა. მოკეთესენებთან, პარკი მშრომელთა დასვენებისა და გართობისა ადგილს უნდა წარმოადგენდეს. რესტორნიდან ეს სისტემატურად ისმის ხმაური, ლანდგა-ბინება, ეშვიათი როდია ალრეთვე ჩხუბი და ალალ-მაყალი, რისი მომსწრენიც ალიან თვით დამსვენებლები. რესტორნის არსებობა ამ პარკში იმითაც არ არის გამართლებული, რომ მის ახლომახლო კიდევ სამი რესტორანია.

ვფიქრობთ გამართლებული იქნება, თუ რესტორნის დაკავებულ ფართობს გამოვიყენებთ დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპული შინმოუსვლელი მამულიშვილების ფოტოსტენდების, ფაშისტურ ვერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების ამსახველი ფოტოტრიბების, მთავარი სამხედრო ოპერაციების ჟანროაძებისა და სქემებინ გამოთვინისათვის. სამამულო ომთან დაკავშირებული ლიტერატურა-სოლბრების ჩარარებისათვის საჭირო ადგილების, ბიბლიოთეკისა და სამკითხველო დარბაზის მოსაწყობად. აქ შეიძლება შეიქმნას ომის ვეტერანთა სახლი, ისეთი, როგორიც ეს სხვა რესპუბლიკებშია.

სერიოზულ ნაკლად მიგვაჩნია, რომ პარკში სათანადო დონეზე არ დგას თვალსაჩინო აგიტაცია, ნაკლებად გვხვდება საბჭოთა ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების საბრძოლო და შრომითი გმირობის ამსახველი ფოტო და სხვა ნასიათის მასალები. რასაც, ჩვენი აზრით მკვეთრ მწიშვნელობა როდი აქვს მომავალი თაობის სამხედრო-პატრიოტული სულის აღზრდაში, ჩვენს ახალგაზრდობაში შრომის, სამშობლოსადმი სიყვარულის დანერგვაში.

ამასთან შრომელთა და ომის ვეტერანთა დიდი კოლექტივის სურვილია: რომ სახელოვანი მამულიშვილის, თვალსაჩინო მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლასელიძის ძეგლი გადმოტანილ იქნას და დაიდგას „გამარჯვების პარკის“ ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს. ჩვენ სინანულით ვვნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დიდმდე თბილისში არ არის დიდ სამამულო ომში დაოკებული ოფიცრობა ჯარისკაცის საფლავი. ამასთან ისიც ვფიქრობ ვთქვათ, რომ ამ 8 წლის წინათ გმირთა მოეძნის ერთ-ერთ კუთხეში საფეხელი ჩაეყარა გამარჯვების მონუმენტს. სამწუხაროდ, აქაც ამ მამართულებით ფაქტიურად არაფერი გაკეთებულა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ დაგვჭირდებოდა „გამარჯვების პარკთან“ დაკავშირებული საკითხების ხელახლა დაყენება, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და მის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია თავის დროზე სათანადო ყურადღებით მოკიდებოდნენ წინადადებებს. რომელთა პრაქტიკული გადაჭრით გამართლებული იქნებოდა არა მარტო პარკის სახელწოდება, არამედ მისი დანიშნულებაც.

ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექციის პრეზიდიუმის წევრები — თადარიგის გენერალ-მაიორები: ნ. თამართაძისაძე, გ. უურაშვილი, პ. აბრამიძე, საბჭოთა კავშირის გმირი დ. ზაბიძე, გადამდგარი პოლკოვნიკები ბ. კანანაძე, მ. ბუსკაძე.

კვირას დედაქალაქში

ჭადრაკის სასახლემ კარი გააღო

საუბარი ბლტაცებულ გროსმაისტერთან

„რა მშვენიერი სასახლეა“, — წამოიძახა საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორმა ბატურინსკიმ, როდესაც სხვა ტურნირებთან ერთად თბილისში იყო მოწვეული „ჭადრაკის სასახლის“ გახსნასთან დაკავშირებით. კვირას სასახლის გახსნასთან ერთად ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ საზეიმო შეხვედრა მოუწყო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს.

საზეიმო შეკრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ პროფ. ალიან ლორთკიფანიძე, ვ. ბატურინსკი, საქადრაკო კომპოზიტორი ვ. ხეიძე, გროსმაისტერი ბ. გურგენიძე, ეურნალისტი თ. გიორგაძე, პოეტი ი. ნოეშვილი.

დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადუხადა ძსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა.

ფ. მახარაძემ წაიკითხა დედგენილება ნ. გაფრინდაშვილის მწვრთნელის გროსმაისტერ ა. გიასლისისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ და სათანადო მოწმობა გადასცა რიგელ მოჭადრაკეს.

თბილისის „ჭადრაკის სასახლის“ პირველი „საშუალო დღე“ ფრიად დატვირთული აღმოჩნდა. გაიმართა ნ. გაფრინდაშვილის, ნ. ალექსანდრიას და ბ. გურგენიძის ერთდროული თამაშის სეანსები, ელვისებური ტურნირი.

გროსმაისტერ გიასლისს დიდი ღვაწლი მიუძღვის მსოფლიოს ჩემპიონის წარმატებებში. ჩვენ ვესაუბრეთ მას საზეიმო ცერემონიალის შემდეგ.

— აივარ! გილოცავთ საპატიო წოდების მინიჭებას.

— დიდი მადლობა.

— თქვენი თანამშრომლობა მსოფლიოს ჩემპიონთან, იმედია, ხანგრძლივი იქნება.

— რა თქმა უნდა. ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, საერთო გეგმით ვმუშაობთ. ისიც კარგია, რომ ტურნირებშიც ერთად დავიწყეთ თამაში.

— რახან სიტყვამ მოიტანა, თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვით შეეხეთ ამასწინათ ესპანეთში დამთავრებულ ტურნირს.

— ნონას შედეგი ოლოტში უდავოდ კარგი იყო, თუმცა უკეთესი ადგილის დაკავებაც შეეძლო. მან პირდაპირ ჩიხებულად ითამაშა კურაიცასთან, შესანიშნავ ოსტატთან, რომელიც გროსმაისტერის კლასს უახლოვდება.

თქვენ იცნობთ კურაიცას. ადრე იგი მსოფლიოს ჩემპიონი იყო ჭაბუკთა შორის. შემდეგ საქართველოში ითამაშა და ბათუმის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორიც გახდა. ნონასთან წაგებამ იუგოსლავიელი მოჭადრაკე, ცოტა არ იყოს, გაანაწყენა — მას ხომ იგი „წმინდა“ პირველ ჰრიზად დაუჯდა.

— თქვენს შედეგზე რას იტყვით?

— თუ 3+5 ადგილის გაყოფას დიდ წარმატებად ვერ მივიჩნევთ, იგი არც მარცხად ჩაითვლება. წაუგებელი დავრჩი, 4 პარტია მოვიგე და 7 ყაიმით დავამთავრე.

— ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია, მაგრამ ახლანდელი მაინც არ დამავიწყდება — იგი ხომ „ჭადრაკის სასახლის“ გახსნის დღეს ძიმდინარეობს.

— უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სასახლით პირდაპირ აღტაცებული ვარ. მისი მსგავსი თვით უპირველეს საჭადრაკო ქალაქებსაც კი არ გააჩნიათ. იგი თითქოს სპეციალურად იმისთვის არის აშენებული, რომ ძსოფლიოს პირველობის მატჩებს უმასპინძლოს.

— ადრე ასეთი მატჩი გაფრინდაშვილსა და კუშნირს შორის რუსთაველის სახელობის თეატრში მიმდინარეობდა.

— დიახ, მაგრამ იქ მოჭადრაკეები სტუმრები იყვნენ, ახლა კი „საუკეთესო ჭერი“ აქვთ და თანაც როგორი ჭერი!

— მორიგ მატჩამდე მსოფლიოს პირველობაზე ქალთა შორის რჩება ორი წელი...

— მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამჯერად ნონას ისევ რომელიმე გამოცდილი, ბრძოლებში გამობრძმედილი მოჭადრაკე შეხვდება. ახლა არ ჩანს ვინმე ახალგაზრდა ოსტატი, არც ჩვენთან, არც უცხოეთში, რომ ნონასთან შეხვედრის სერიოზული პრეტენზიები ქონდეს. ლეგინტინა, შული, ვერეცი და ივანკა ამჯერად არ არიან ისეთი ოსტატები, რომ მსოფლიოს ჩემპიონს რაიმე საფრთხე შეუქმნან.

— მაშ ვინღა?

— მე მოგახსენებთ არა მარტო ჩემს, არამედ ნონა გაფრინდაშვილის აზრსაც: ამჯერად უძლიერეს პრეტენდენტებად უნდა მივიჩნიოთ ალა კუშნირი და ნანა ალექსანდრია. რა თქმა უნდა, ის უკვე სხვა საკითხია, მომავალი წლისათვის, როდესაც პრეტენდენტთა მატჩები დაიწყება, რომელი მათგანი იქნება უკეთეს ფორმაში.

— დიახ, მაგრამ ალექსანდრიას კიდევ ერთი დაბრკოლება აქვს გადასალახავი—საზონთაშორისო ტურნირი, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება.

— დარდი ნუ გაქვთ, იგი ამ დაბრკოლებას აუცილებლად დასძლევს.

— საჭადრაკო სამყაროს ახლა დიდად აღელვებს ვაჟთა შორის ორი საზონთაშორისო ტურნირის საკითხი. ყველას აინტერესებს, როგორი იქნება ამ შეჯიბრების შედეგები; ე. ი. გაისად ვინ ჩაებმება პრეტენდენტთა მატჩებში.

— დიახ, ეს მეტისმეტად საინტერესო საკითხია. როგორც ლენინგრადში, ისე ქ. ბრაზილიაში სულ 3-3 საპრიზო ადგილია, პრეტენდენტი კი ბევრჯერ მეტი. ავიღოთ, მაგალითად, ახმარეზობა ლენინგრადში. უნდა მოხვდეს სამეულში ტალი?! თითქოს უნდა მოხვდეს—იგი ახლა შესანიშნავად თამაშობს. ჩვენ, რიგელებმა, ყოველ შემთხვევაში, დიდი იმედები გვაქვს. კორჩნოი?! თითქოს მისი წარმატებაც არის საეჭვოდ ეველი, არა! კარპოვი?! „ამომავალი ვარსკვლავია“ — მით უმეტეს! ლარსენი? — საზონთაშორისო ტურნირში თამაში ხომ მისი „სპეციალობა“! თანაც, დაუკვირდით, ლარსენი, რომელსაც ასე უყვარს თამაში და გასტროლებზე წასვლა, ინვრიდან არსად ჩამოსულა. ახლა ჰიუბნერი! ახლა ლეონგორინი! ახლა ულმანი! ჩვენ უკვე 7 გროსმაისტერი დავასახელეთ... სამ ადგილზე. ამის მსგავსი სიტუაცია შეიქმნება ქ. ბრაზილიის ტურნირშიც.

1967 წელს თვით გიასლისიც თამაშობდა საზონთაშორისო ტურნირში. იგი ახლა 36 წლისაა. შეიძლება კიდევ ითამაშოს ასეთი დონის შეჯიბრებაში? რატომაც არა! ვუსურვოთ ჩვენს რიგელ მეგობარს ამ მიზნის განხორციელება.

გ. გამრეკელი.

სურათებზე: ზემოთ — თბილისის ჭადრაკის სასახლე; ქვემოთ — ოქტომბრელები ეასლმებიან მსოფლიოს ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს.

ხ. კილაძის ფოტო.

ეს �ეები, ჰოკეისტთა დიდი ჩემპიონატის ოქროს მედალოსნები, სსრ კავშირის ჰოკეისტები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

მეთოთრმეტედ!

სსრ კავშირის ჰოკეისტები — მსოფლიოს ჩემპიონები

კმირას მოსკოვში, ლუჟნიკის ყინულზე სასპორტოდ უკანასკნელად გამოვიდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის მოწაფეები. პირველნი ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის გუნდები. ხანდინავიელებმა, რომელთაგან უკანასკნელ მომენტამდე ელოდნენ სიურპრიზს, ამჯერად ადვილად დათმეს ბრძოლა უკვე ექს-ჩემპიონებთან. 0:8 — ფინეთის გუნდი მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესო გამოდგა საბჭოთა კავშირისა და შვეიცის ჰოკეისტთა ასპარეზობა. პირველი შაიბა გაიტანა „ტრე კრუნურმა“, მაგრამ მალეცევმა (მეჩოქის დახმარებით) და გუსევმა ორი გოლი გაიტანეს და საბჭოთა ნაკრები დაწინაურდა — 2:1. შემდეგ შვეიცარიელებმა კვლავ მიაღწიეს წარმატებას, მაგრამ მალეცევმა მეორე შესვენებამდე ისევ წინ გაიყვანა ჩვენი ჰოკეისტები. დასკვნით პერიოდში საბჭოთა გუნდმა (პეტროვი, ზიხალოვი) კიდევ ორი შაიბა გაიტანა, რასაც სტუმრებმა უპასუხეს მხოლოდ ერთით — 6:4. აღსანიშნავია, რომ მიხაილოვმა სარეკორდო მეასე გოლი მოუტანა თავის გუნდს.

საბჭოთა ნაკრებმა მოსკოვის ტურნირზე ზედიზედ მეათე გამარჯვება იზეიმა. (შაიბები 100:17) და მეთორმეტედ მოიპოვა მსოფლიოს, სოლო მეთხუთმეტედ ევროპის ჩემპიონის საპატიო წოდება.

...შაიბიანი ჰოკეის საერთაშორისო ლიგის პრეზიდენტმა ჯონ აპერნმა საბჭოთა გუნდის კაპიტანს ბორის მიხაილოვს საპატიო თასები გადასცა, რის შემდეგ ჩვენმა ჰოკეისტებმა, გულშემატკივართა მხურვალე ტაშისა და მისასალმებელი შეძახილების თანხლებით, საპატიო წრე შემოუარეს ლუჟნიკის ყინულს.

მეათედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ჩვენი ნაკრების ვეტერანი ალექსანდრე რაგულინი. „ოქროს“ ასეთი კოლექციია არა აქვს არც ერთ ჰოკეისტს. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები გახდნენ ვლადიმერ ლუტჩენკო, ალექსანდრე მალეცევი, ბორის მიხაილოვი, ელადიმერ პეტროვი, ვალერი ხარლამოვი და ალექსანდრე იაკუშევი, სამგზის — ვვენი პოლადიჩი, ვლადიმერ შადრინი და ელადიმერ ტრეტიაკი. მსოფლიოს ჩემპიონის მეორე მედალი მიიღეს ვალერი ვასილევმა, იური ლიაპკინმა, ალექსანდრე მარტინუკმა და ვენანდი ციგანკოვმა. პირველად მოიპოვეს უმაღლესი ჯილდო ვიაჩესლავ ანისინმა, ალექსანდრე ბოდუნოვმა, ალექსანდრე ვოლჩკოვმა, ალექსანდრე გუსევმა, იური ლებედევმა და ალექსანდრე სიდელნიკოვმა.

სულ მოსკოვის ჩემპიონატზე, 30 მატჩში გატანილ იქნა 258 შაიბა. აქედან ვლადიმერ პეტროვმა გაიტანა 18 გოლი, ხოლო ბორის მიხაილოვმა—16. პეტროვმა გარდა ამისა გააკეთა 16 საგოლე გადაცემა და 34 ქულით ტურნირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა. მეორე ადგილზეა ბორის მიხაილოვი — 29 ქულა (16 შაიბა და 13 გადაცემა).

მოსკოვის მსოფლიოს ჩემპიონატზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა—გაზეთების, საინფორმაციო სააგენტოების, რადიოსა და ტელევიზიის 283 კორესპონდენტმა ტრადიციისამებრ შეადგინეს „მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები“: მეკარე ირი ჰოლეიკი (ჩეხოსლოვაკია), მცველები ბერიე სალმინგი (შვეიცია) და ალექსანდრე გუსევი (სსრ კავშირი), თავდასხმელები ბორის მიხაილოვი, ვლადიმერ პეტროვი, ვალერი ხარლამოვი (ყველა — სსრ კავშირი).

პრეს-ცენტრის მონაცემებით 387.653 მაყურებელი მიიზიდა ჰოკეისტთა დიდ ჩემპიონატზე ლუჟნიკის სასახლის ტრიბუნებმა. ეს დასწრების ახალი რეკორდია და თითქმის 150 კოცობი აღემატება პრაღაში შარშან გამართული ჩემპიონატის მაჩვენებელს, რაც მაშინ ყველაზე დიდი მიღწევა იყო.

— ჰელსინკში შეხვედრამდე! — ასე შორდებოდნენ ერთმანეთს პლანეტის უძლიერესი ჰოკეისტები, რომლებიც ერთი წლის შემდეგ თითქმის იმავე ვადებში (30 მარტი — 14 აპრილი) შეხვდებიან ერთმანეთს ფინეთის დედაქალაქში მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ „ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ“

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ქალაქ სარაევოში დამთავრდა მსოფლიოს 32-ე ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. საბჭოთა სპორტსმენებმა ასტა ბედრატიტემ (კაუნასი) და ანატოლი სტროკატოვმა (ლვოვი) შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში მოიპოვეს ვერცხლის მედლები.

ვაჟთა ერთეულთა ტურნირში ბათუმელმა სარქის სარხოლანმა მიაღწია მხოლოდ მეოთხედფინალს, სადაც მან წააგო ჩემპიონატის მომავალ ფინალისტთან, შვედ ჩელ იუანსონთან.

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის ეაიეთა ბოქსიორთა ორი მატჩი თბილისის „ბურევესტნიკასა“ და კიშინიოვის „პოლიტექნიკის“ შორის. პირველ შეხვედრაში ქართველმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 72:71.

გუშინ, განმეორებით ასპარეზობაში კვლავ გაიმარჯვა „ბურევესტნიკამ“ — 93:71.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ — ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის ფეხბურთელებმა, რომლებმაც ბუდაპეშტში ანგარიშით 2:1 (1:0) დამარცხეს უნგრელი თანატოლები, ვადაზე ადრე მოიპოვეს უეფა-ს ტურნირის ფინალში მონაწილეობის უფლება.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲡᲐᲛᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

9 ტურის შემდეგ „დინამოს“ საკავშირო საუნდრაკო ჩემპიონატს ქალთა შორის ლიდერობენ საერთაშორისო ოსტატი ' იგნატიევა (მოსკოვი), „დინამოს“ ჩემპიონი ოსტრი (კიევი) და ოსტატობის კანდიდატი ჩიბურდანიძე — ექვსექვსი ქულა 8 თამაშიდან. ამდენივე ქულა, მხოლოდ 9 თამაშიდან აქვს ოსტატ ტიტორენკოს (მოსკოვი). ამ ლიდერებს კვალდაკვალ მიჰყვებიან მონაწილეთა დიდი ჯგუფი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲘᲜᲘᲨᲘ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სპორტის სახახლეში კვირას დამთავრდა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების ტურნირი, რომელშიც, როგორც ცნობილია, ჩვენმა გუნდმა კვლავ მოიპოვა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. უკანასკნელ ტურში მან დაამარცხა ლვოვის არმიელები (28:22) და 29 ქულით პირველობა მოიპოვა.

მეორე ადგილზე გამოვიდა ტირასპოლის გუნდი. იგი ჩაატარებს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ მატჩს ბოლოსწინა ადგილზე გამოსულ გუნდთან.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲡ ᲨᲔᲔᲒᲐ

ᲭᲘᲓᲘᲡ რაიონის სოფელ ჯალაბაშვილების რვაწლიანი სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ავთანდილ ჩხუბაძე სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა. მან შენიშნა ლადო მანველიძის სახლის ხახურავს ცეცხლი გასჩენოდა, სახლის პატრონი კი ტყეში იყო წასული — კოლმეურნეობის ვენახისათვის ჭიგოებს ამზადებდა, ხოლო მეუღლე მწოლიარე ავადმყოფია.

ავთანდილმა განგაში ატეხა, პირველი თვითონ მიიჭრა ცეცხლმოდებულ სახლთან, ავიდა სახურავზე და დაიწყო ხანძართან ბრძოლა, მაგრამ ქარი თანდათან ძლიერდებოდა. ავთანდილს წამოეშველნენ მეზობლები — მოლედინ, ნიაზ და სანდრო ბერიძეები, ზაქრო ცინცაძე, ზემზემ ჩხუბაძე. მალე სახლის პატრონიც მოვიდა. ცეცხლთან თავგანწირულმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. დაიწვა მხოლოდ სახლის სახურავი.

ნ. ფარტენაძე.

ᲡᲐᲡᲙᲝᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). კომბინატორთა ჯგუფი კარგახანს „მოდაწყობდა“ ზესტაფონის ყველაზე ლარაქის მთავარ ქარხანაში. ქარხნის დირექტორი გ. ძიგანიძე, მთავარი ბუღალტერი ი. გამყრელიძე, საწყობის გამგე ა. ქელიძე, მოლარე-მოანგარიშე ც. არსენაძე, საწყობის მუშა ი. ბამეკაშვილი უსინდისოდ იფათურებდნენ ხელს სახელმწიფოს ჯიბეში, ადგენდნენ ყალბ საბუთებს, თვისებრივად სახალხო დოვლათს და უსინდისოდ გზით მდიდრდებოდნენ.

ყალბი დოკუმენტების შექმნით კომბინატორებმა გაიტაცეს 35.467 კილოგრამი ყველი, რომლის სარეალიზაციო ღირებულება 49.630 მანეთი, 15.380 კილოგრამი რძის ფხვნილი 24.146 მანეთად ღირებული. ეგასალის ფიქტიური საბუთების შედეგნით ჩამოწერეს 17.128 მანეთის პროდუქცია და გაიტაცეს. ხელფასების ყალბი უწყისების შედგენით სახელმწიფოს ეგზალიჯეს 14.992 მანეთი. სულ ამ სინდისგარეცხილებმა გაფლანგეს 107.955 მანეთი.

მათი საქმე ახლახან განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განსაკუთრებულმა კოლეგიამ. ბრალდებულებს გ. ძიგანიძეს, ი. გამყრელიძეს და ა. ქელიძეს მიესაჯათ 12-12 წლით, ხოლო ც. არსენაძეს და ი. ბამეკაშვილს 10-10 წლით პატიმრობა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

17 ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.10 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციი უმაღლეს მათემატიკაში. 16.25 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები ქართულ ენაში, 17.10 — ბიოლოგიაში, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — განცხადებები, 18.05 — „ხვალ — რაღითთი“, 18.10 — მოსწავლეთათვის „ოთხმეტი სტუმარი“, 18.35 — ახალგაზრდობის საზოგადოებრივი შრომა და მისი პედაგოგიური მნიშვნელობა, 18.50 — „სპორტული კვირეული“, 19.10 — კუბის რესპუბლიკის სატელევიზიო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „ბოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — ზრმნის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა, 21.35 — მუსიკალური გადაცემა „პლენუმის წინ“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ტელეტურნირი“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.15 — სკოლების დასახმარებლად — საქართველოს ისტორია (მეშვიდე, მეათეკლასელთათვის. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება XVIII საუკუნის 50-70-იან წლებში), 18.00 — განცხადებები, 18.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები თეორიულ მექანიკაში, 19.05 — მეცნიერულ კომუნიზმში, 19.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ადამიანი იქნება მხრდან“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

17 ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ლ. ბეთოვენი. ნაწყვეტები ოპერა „ფიდელიოდან“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 „ლენინი“. რადიოკომპოზიცია ვლ. მაიაკოვსკის ლექსების მიხედვით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — დ. კაბალევსკი. ვოკალური ციკლი „შექსპირის ათი სონეტი“, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45— „ვამოწმებთ ნაკისრ ვალდებულებებს“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — შ. მილორავა. სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 12.30 — ნ. დვორეკაკი. სლავური საცეკვაობები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა. 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — დ. თორაძე. ნაწყვეტები ბალეტ „ვორდადან“, 15.00 — მეცნიერება და ტექნიკა“. რადიოჟურნალი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.15— რ. შჩედრინი. მეორე საბალეტო სუიტა „კუზნიანი კვიცი“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ვ. ვაინბერგი. სონატინა ვიოლინისა და ფორტეპიანოსათვის, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — საოპერო მუსიკა, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგულება“, 19.20 — ვ. ბალანჩივაძე. ნაწყვეტები ოპერა „დარეჯან ციციერიდან“, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ნ. ბრეევაძის კონცერტი, 20.20 — ქართველ კომპოზიტორთა ინსტრუმენტული პიესები, 20.30 — რადიოგაზეთი ახალგაზრდობისათვის, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — კონცერტი-საუბარი „ვ. რაველი“, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — საქართველოს სახელმწიფო კაპელას კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲗᲥᲕᲘᲗ, ᲠᲐ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲗᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი აწარმოებს ეკონომისტ-პროპაგანდისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას წარმოებიდან მოწყვეტით (ერთი თვის ვადით) სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის (დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით), მათთვის მოსახერხებელ ვადებში და მოსამზადებელი კონტინგენტის რაოდენობის შეუზღუდველად. დაინტერესებულ სამინისტროებს და უწყებებს, (ალკეულ საწარმოებს დაწვრილებითი ცნობებისათვის შეუძლიათ მიმართონ ფაკულტეტის დეკანატს შემდეგი მისამართით:

თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, ტელეფონი: 31-01-07.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაცი